მოერიდეთ იმას, რაც აგიკრძალეთ, ხოლო რაც გიბრძანეთ შეასრულეთ ის, რამდენადაც შეგიძლიათ

აბუ ჰურაირა აბდურრაჰმან იბნ სახრი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს: გავიგონე, რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «მოერიდეთ იმას, რაც აგიკრძალეთ, ხოლო რაც გიბრძანეთ შეასრულეთ ის, რამდენადაც შეგიძლიათ, ჭეშმარიტად, თქვენამდე მცხოვრებნი დაღუპა მათმა ზედმეტმა კითხვებმა და მათმა დაპირისპირებამ თავიანთ შუამავლებთან».

[სანდო (საჰიჰ)] [رواه البخاري ومسلم]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განგვიმარტა, რომ თუ მან რაიმე აგვიკრძალა, ჩვენ ვალდებულნი ვართ სრულად მოვერიდოთ მას გამონაკლისის გარეშე. ხოლო თუ მან რამე გვიბრძანა, ჩვენ უნდა შევასრულოთ ის იმდენად, რამდენადაც შეგვიძლია. შემდეგ მან გაგვაფრთხილა, რომ არ გავხდეთ ზოგიერთი წინა ერის მსგავსნი, რომლებიც თავიანთ წინასწარმეტყველებს უამრავ კითხვას უსვამდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ მათ. შედეგად, ალლაჰმა ისინი მრავალგვარი დაღუპვითა და ნგრევით დასაჯა. ამიტომ საჭიროა, რომ ჩვენ არ გავხდეთ მათი მსგავსნი, რათა არ დავიღუპოთ ისე, როგორც ისინი დაიღუპნენ.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/66517